მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული
ტელეფონი: (+995 32) 222 38 74 / 229 27 73
ფაქსი: (+995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

№ 04/09/01-151
8 აპრილი, 2014

საქართველოს მთავრობას

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:
ასოციაცია მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელი დირექტორი
ნინო გუჯარაიძე

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:

1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნა;
2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 13 მარტის №01/01-1227 გადაწყვეტილება შპს RMG GOLD-სათვის სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებითი დასკვნის გაცემის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:
1. ბათილად იქნეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნა;
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 13 მარტის №01/01-1227 გადაწყვეტილება შპს RMG GOLD-სათვის სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებითი დასკვნის გაცემის შესახებ.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

გარემოება №1.
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 და 62-ე მუხლებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართში უკანონოდ ასახული „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" დანართიდან ამოღების მიზნით:

1. ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27.04.2006 წ., №9; ნაწ. IV; გვ.49) დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი).
2. ამ ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად, დაევალა სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (ბ. მაცაბერიძე) და

სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს (თ. ჩიხრაძე) უზრუნველყონ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის წარსადგენი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში ცვლილებისათვის საჭირო, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება 3 დღის ვადაში.

3. სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (ბ. მაცაბერიძე) დაევალა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს (თ. ჩიხრაძე) დაევალა სათანადო სამუზეუმო სივრცის შესაქმნელად და ამ სივრცეში საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მოპოვებული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების გადასატანად კომპანია RMG-სა და სამინისტროს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მომზადება.

5. საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა განხორციელდეს 2013 წლის 15 სექტემბრამდე.

მტკიცებულება:
დანართი №1. - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება.

გარემოება №2.
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა კომისია ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. აღნიშნული ბრძანებით ცალსახადაა დადასტურებული, რომ ამ კომისიის შექმნის მიზანია საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს კულტურის ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტების შესწავლა და შესწავლის შედეგებისაგან დამოუკიდებლად, მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

2013 წლის 19 ოქტომბერს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ და დავით სახვაძემ ადმინისტრაციული სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის №1430 განკარგულების ბათილად ცნობა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს №03/130 ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულების ბათილად ცნობა. აღნიშნული ადმინისტრაციული სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინებით.

მტკიცებულება:
დანართი №2. - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანება;
დანართი №3. - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა;
დანართი №4. - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინება, საქმე №3/3877-13.

გარემოება №3.
არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად შპს RMG GOLD-მა 2013 წლის 04 ოქტომბერს ხელშეკრულება დადო შპს „არქეოლოგთა გაერთიანებასთან“, ხოლო 2013 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ მასზე გაიცა არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების ნებართვა. 2013 წლის 9 დეკემბერს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ „კულტურული

მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის შესაბამისად ჩაიბარა შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ წარდგენილი ანგარიშისა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაზე დაყრდნობით შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოები, რის შესახებაც ეცნობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 იანვრის №01/08-107 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს RMG GOLD-ს უარი ეთქვა მიწის მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განხორციელებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის აუცილებელი დასკვნის გაცემაზე იმ საფუძვლით, რომ წარმოდგენილი დასკვნა ეწინააღმდეგება აღნიშნულ ტერიტორიაზე უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში განხორციელებული კვლევების შედეგად შემუშავებულ ანგარიშებს, რომელთა მიხედვით დასტურდება პრეისტორიული პერიოდის კულტურული ფენები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №313 განკარგულებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს RMG GOLD-ის ადმინისტრაციული საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 იანვრის №01/08-107 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - მიწის მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განსახორციელებლად დადებითი დასკვნის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაევალა შეისწავლოს შპს RMG GOLD-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადმინისტრაციული განხილვის შედეგად, ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება სზაკ-ის 53.5 მუხლისა და 96.2 მუხლის მოთხოვნებს, რაც ამავე კოდექსის მე-60[1] მუხლის მიხედვით წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებით სამინისტრომ დაარღვია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14.2 მუხლის მოთხოვნები, ასვე სზაკ-ის 95-ე მუხლის მოთხოვნები. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო შპს RMG GOLD-ის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს თვლიდა არასრულყოფილად, მას სზაკ-ის 83-ე მუხლის თანახმად განმცხადებლისათვის უნდა დაედგინა ხარვეზი და მიეცა ვადა მის შესავსებად. ადმინისტრაციულმა ორგანომ საფუძვლიანად მიიჩნია ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ დაირღვა აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი წესი, ვინაიდან გასაჩივრებული აქტით არ დგინდება საკითხის სრული და ობიექტური განხილვის მიზნით ჩატარდა თუ არა ზეპირი სხდომა, ჩატარების შემთხვევაში ვინ ესწრებოდა ადმინისტრაციულ განხილვას, იყვნენ თუ არა მიწვეულები განხილვაზე დაინტერესებული პირი და შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ ექსპერტები, სადაო საკითხის განხილვისას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის წევრების და სექციის არაწევრი სპეციალისტების მიერ წარდგენილი იქნა თუ არა შპს “არქეოლოგთა გაერთიანების“ ანგარიშისგან განსხვავებული ანგარიში, რომელსაც დაეყრდნო ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილების მიღებისას.

მტკიცებულება:
დანართი №5. - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №313 განკარგულება.

გარემოება №4.
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 25 თებერვლის №02/08-931 წერილით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გადაეგზავნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №313 განკარგულება შპს RMG GOLD-ის ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, შპს RMG GOLD-ის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი მათ სალიცენზიო ფართობში, საყდრისის ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში (წერილი №686, 19.11.2013), საყდრისი-ყაჩაღიანის საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალა (წერილი №147, 21.02.2014წ.) და დაევალა კომპეტენტური დასკვნის მომზადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მარტის №05/09/221წერილის თანახმად, სააგენტო გაეცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტაციის სრულ პაკეტს, ასევე დამატებით შეისწავლა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/83 ბრძანების საფუძველზე შექმნილი „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის“ საბოლოო დასკვნას და კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ, 2013 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე

განხორციელებული ორი სამეცნიერო ექსპედიციის და მონიტორინგის ანგარიშებს, მათ შორის: საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტის ფარგლებში ი.ღამბაშიძის, თ.შტოლნერისა და ფ.კლაინის მიერ განხორციელებული „საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2013 წლის საველე სამუშაოების ანგარიშს (14.08.2013-6.09.2013); საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 14 აგვისტოს №2/116 ბრძანების საფუძველზე არქეოლოგიური სამუშაოების მონიტორინგის ანგარიშს; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეთვალყურეობით შპს არქეოლოგთა გაერთიანებას მიერ განხორციელებული „საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშს (21.10.2013-21.11.2013); თ.შტოლნერისა და ი.ღამბაშიძის ერთობლივ პუბლიკაციაში მოცემულ ფაქტობრივ მასალას. საკითხის კომპლექსურის შესწავლის შედეგად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 6 მარტს (№05/09/221) შემუშავებული იქნა დასკვნა, რომლის თანახმადაც საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე უძველესი ოქროს მაღაროს, ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა, დღეისათვის არსებული კვლევების საფუძველზე, დადასტურებული არ არის. ვინაიდან 2013 წელს ობიექტზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად ტერიტორიაზე კულტურული ფენების არსებობა არ არის დადასტურებული სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია შპს RMG GOLD-ს სამუშაოების გაგრძელების მიზნით მიეცეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან დადებითი დასკვნა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტს №01/01-1227 გადაწყვეტილებით შპს „RMG GOLD“-ს სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით მიეცა დადებითი დასკვნა.

მტკიცებულება:
დანართი №6. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 25 თებერვლის №02/08-931 წერილი;
დანართი №7. - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის №05/09/221 დასკვნა;
დანართი №8. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტს №01/01-1227 გადაწყვეტილება.

გარემოება №5.
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 9 იანვრის №1 ოქმით დადასტურებულია, რომ საბჭომ მოწვეული არქეოლოგების (7 არქეოლოგი) მონაწილეობით განიხილა საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (2013წ.21 ოქტომბერი -12 ნოემბერი) და დაასკვნა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (21 ოქტომბერი - 12 ნოემბერი, 2013 წ.) არ არის სრულყოფილი და ობიექტის არქეოლოგიური შესწავლა უნდა გაგრძელდეს.

2014 წლის 08 იანვარს ეროვნული მუზეუმის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა გიორგი მინდიაშვილმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს წარუდგინა ბოლნისის მუნიციპალიტეტში საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ დამცავ ზონაში არსებული ობიექტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია და მოითხოვა მისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება.

ულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 27 იანვრის №02 ოქმით დადასტურებულია, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუზველზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე მდებარე არქეოლოგიური ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება და ძეგლის საზღვრების საბოლოო დაზუსტება.

მტკიცებულება:
დანართი №9. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 9 იანვრის №1 ოქმი;
დანართი №10. - გიორგი მინდიაშვილის 2014 წლის 8 იანვრის მიმართვა და ობიექტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია;

დანართი №11. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 27 იანვრის №2 ოქმი.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები

1. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №197 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების 1.1 მუხლის თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შეიმუშავებს ქვეყნის პოლიტიკას კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას. ამავე დებულების 1.2 მუხლის თანახმად, სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად. დებულების 1.4 მუხლის მიხედვით, სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს. მაშასადამე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ზემდგომ ორგანოს სზაკ-ის 178-ე მუხლის მიხედვით წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, შესაბამისად ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში, რომელიც არის საქართველოს მთავრობა.

2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

3. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

4. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნა წარმოადგენს შუალედური ხასიათის მქონე სამართლებრივ აქტს. აღნიშნული აქტის შუალედური ხასიათი არ გამორიცხავს მის გასაჩივრების შესაძლებლობას, რადგანაც ეს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დაშვებულია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნა საჩივრდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 13 მარტის №01/01-1227 გადაწყვეტილებასთან ერთად, რაც დასახელებულ შეზღუდვას ხსნის.

მომავალში, საჩივრის არგუმენტაციის აღქმის გასაიოლებლად, დათქმის სახით ავღნიშნავთ, რომ კანონი (ზემოაღნიშნული ზაკის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი) მართალია, უპირობოდ არ უშვებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიღებულ ყველა გადაწყვეტილების გასაჩივრებას, მაგრამ ამით არ გამორიცხავს ამ წერილობითი დოკუმენტების, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბუნებას. ამიტომაც, მართებულია ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტისადმი ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გავრცელება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნის მიმართ და შესაბამისად, მათი დაუცველობის გამო არა მხოლოდ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 13 მარტის № 01/01-1227 გადაწყვეტილების, არამედ დასახელებული დასკვნის ბათილად ცნობის მოთხოვნაც.

მიგვაჩნია, რომ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 გადაწყვეტილება შპს „RMG GOLD“-ს სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით

დადებითი დასკვნის გაცემის შესახებ გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი გარემოებათა გამო:

4. სზაკ-ის $60^1$1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სზაკ-ის 53.4 მუხლის თანახმად თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამავე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სზაკ-ის 96.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ არის დადგენილი და დადასტურებული, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო ზემოაღნიშნული სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე. გასაჩივრებული აქტით არ დგინდება საკითხის სრული და ობიექტური განხილვის მიზნით ჩატარდა თუ არა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ზეპირი სხდომა, ჩატარების შემთხვევაში ვინ ესწრებოდა ადმინისტრაციულ განხილვას, იყვნენ თუ არა მიწვეულები განხილვაზე დაინტერესებული პირი და შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ ექსპერტები, სპეციალისტები, ასევე გაუგებარია და არ დგინდება სადაო საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 09 იანვრის №1 საოქმო გადაწყვეტილებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 27 იანვრის №2 საოქმო გადაწყვეტილებით მიღებული განსხვავებული დასკვნების განხილვისა და მისი უარმყოფელი, გამაბათილებელი არქეოლოგიური კვლევის ანგარიშის ან/და სხვა შესაბამისი კვლევის შედეგების არსებობა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით შპს RMG GOLD-სათვის დადებითი დასკვნის გაცემა. ანუ სამინისტროში წარმოდგენილი არ არის რაიმე ახალი, განსხვავებული შინაარსის მქონე სრულყოფილი არქეოლოგიური კვლევის ანგარიში, თუმცა იგივე პირობებში, იგივე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით სამინისტრომ ამჯერად მიიღო გადაწყვეტილება შპს RMG GOLD-სათვის დადებითი დასკვნის გაცემის თაობაზე.

5. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინების თანახმად, წარმოებაშია მიღებული ადმინისტრაციული სარჩელი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის №1430 განკარგულების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს №03/130 ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.1 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის

№ 03/108 ბრძანების მოქმედება შეჩერებულია, რაც ნიშნავს და გულსიხმობს ამ აქტის გამოცემამდე არსებული სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენას ანუ 2013 წლის 18 ნოემბრის შემდეგ საყდრისი-ყაჩარიანის ოქროს მაღაროს აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რაც გამორიცხავს აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოველგვარი საქმიანობის, მათ შორის სამთო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნული საფუძველი დამატებით ამტკიცებს და ადასტურებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონთან წინააღმდეგობას.

6. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 15.1 მუხლის თანახმად, ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ვერ ხერხდება ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა, ასევე როდესაც მის ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები გადამოწმებას ან დამატებით შესწავლას საჭიროებს, მინისტრი უფლებამოსილია მაინც შეიტანოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში. ამ მომენტიდან მასზე ვრცელდება ამ კანონის VI და IX თავებით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც „ვერ ხერხდება“ (სინამდვილეში დადგენილი და დადასტურებულია მისი არსეობობა) საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა და ობიექტი დამატებით შესწავლას საჭიროებს მინისტრს მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი უნდა შეეტანა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში ნაცვლად ამ ობიექტზე სამთო საქმიანობის განხორციელების შესახებ დადებითი დასკვნის გაცემისა.

7. სამინისტრომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია „საზოგდოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის (ფარო, 2005)[1] ერთ-ერთი ფუძემდებლური პრონციპი, რომლის თანახმად ხელმომწერი მხარეები აღიარებენ, „რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი არჩევანით გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობა, ამასთან პატივი სცეს სხვა ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ერთერთი ასპექტია, რომელიც აღიარებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (1948), და გარანტირებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტით (1966)“; და დარწმუნებული არიან „კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრისა და რეგულირების ამჟამად მიმდინარე პროცესებში საზოგადოების ყველა წევრის ჩართვის აუცილებლობაში“.

8. სამინისტრომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის) კონვენციის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად, RMG Gold-ისათვის ფართომასშტაბიანი წიაღით სარგებლობისათვის უფლების მიცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა ყოფილიყო საზოგადოების მონაწილეობისათვის კონვეციის შესაბამისი მუხლით დადგენილი პროცედურის თანახმად.

9. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის 3 პუნქტის თანახმად, „“გარემოსდაცვითი ინფორმაცია” გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

ბ) ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა

ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;

გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, **კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა**, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

კონვენციის ზემოთმოყვანილი მუხლის თანახმად, ჩვენს მიერ წარდგენილი საჩივარი შეეხება გარემოსდაცვით საკითხს.

კონვენციის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, "დაინტერესებული საზოგადოება" ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" წესდების (გთხოვთ, იხილოთ თანდართული) თანახმად, ორგანიზაციის მიზნებია:

- საქართველოში მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება;
- საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით სფეროში;
- გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელება;
- ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

გარდა იმისა, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი საჩივარი ეხება გარემოსადცვით საკითხებს, გასაჩივრებული აქტით დაირღვა მოქალაქეების კულტურული უფლებები (რომელიც დაცულია არაერთი საერთაშორისო აქტით. მაგ.: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948), ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966) და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966)) და შეილახა საზოგადოებრივი ინტერესები. ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა კი, მწვანე ალტერნატივას წესდებით განსაზღვრული მისიის ნაწილია.

კონვენციის მე-9 მულის მე-2 პუნქტის თანახმად კი, ყოველი მხარე ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული საზოგადოების წევრებს ა) რომლებსაც გააჩნიათ დასაბუთებული ინტერესი, ან ბ) რომელთა უფლებები ილახება, მიეცეს საშუალება სასამართლოში ან/და კანონით დადგენილ სხვა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილების, ქმედებისა თუ უმოქმედობის არსებითი ან პროცესუალური საართლიანობა, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის დებულებებითა და კონვენციის სხვა შესაბამისი დებულებებით რეგულირდება. ამასთან, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესები, რომლებიც აკმაყოფილებენ კონვენციის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს ჩაითვლება დასაბუთებულად ზემოთ მოყვანილი (ა) ქვეპუნქტის მიზნებისთვის.

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა, (გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ 2014 წლის 13 მარტს, წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია კანონით დადგენილი 30-დრიანი ვადის დაცვით 2014 წლის -- აპრილს), არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, რის გამოც გთხოვთ:

1. წარმოებაში მიიღოთ წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი.

2. ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოთ ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირების აუცილებელი მონაწილეობით.
3. ბათილად ცნოთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნა.
4. ბათილად ცნოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის № 01/01-1227 გადაწყვეტილება შპს RMG GOLD-სათვის სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებითი დასკვნის გაცემის შესახებ.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

დანართი №1. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება;
დანართი №2. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანება;
დანართი №3. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავ ლელი კომისიის დასკვნა;
დანართი №4. - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინება, საქმე №3/3877-13;
დანართი №5. - მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №313 განკარგულება;
დანართი №6. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 25 თებერვლის №02/08-931 წერილი;
დანართი №7. - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის №05/09/221 დასკვნა;
დანართი №8. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტს №01/01-1227 გადაწყვეტილება.
დანართი №9. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 09 იანვრის №1 ოქმი,
დანართი №10. - გიორგი მინდიაშვილის 2014 წლის 08 იანვრის მიმართვა და ობიექტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია;
დანართი №11. - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 27 იანვრის №2 ოქმი.
დანართი №12. ააიპ მწვანე ალტერნატივას წესდება;
დანართი №13. მწვანე ალტერნატივას ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
დანართი №14. რწმუნებულება.

დანართი სულ: 133 ფურცელი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი